ხელშეკრულება №2295/168
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(სამუშაოს შესყიდვა)

ქ. თბილისი 28 დეკემბერი 2011 წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში – შემსყიდველი), მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მარტიაშვილის სახით, და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. "უნივერსალი 2010" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის არჩილ ბაციაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ვმოქმედებთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით "2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ"საქართველოს კანონით გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცებული იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქ. N2/4-ში (ნევროლოგიის ინსტიტუტი) მდებარე 3 სართულიანი შენობა-ნაგებობის მე-3 სართულზე არსებული ფართზე ელექტრომომარაგების (CPV 45311000 ელექტროგაყვანილობებისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟი) სამუშაოები შესყიდვა. დოკუმენტაციით (ხარჯთაღრიცხვა) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2. <u>**შესყიდვის საშუალება**</u> გამარტივებული შესყიდვა საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 დეკემბრის №2532 განკარგულება.

4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

4.2. შესყიდვის ობიექტის, ამ შემთხვევაში შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება **21256,59** (ოცდაერთიათასორასორმოცდათექვსმეტი ლარი და 59 თეთრი) ლარს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ტექნიკურ ნორმებს.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა 2011 წლის 30 დეკემბრამდე.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქ. N2/4-ში (ნევროლოგიის ინსტიტუტი) მდებარე 3 სართულიანი შენობა-ნაგებობის მე-3 სართულზე

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება გადარიცხვით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

.3. ანაზღაურებისას დასაშვებია წინასწარი ანგარიშწორება არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 80%-

7.4. ხელშეკრულების ღირებულების დარჩენილი ოდენობის (20% -ის) ანაზღაურება განხორციელდება
ულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს
უგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

7.5. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში "მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველს წარმოუდგინოს
ბანკო ან სადაზღვევო გარანტია წინასწარ მოთხოვნილი თანხის 100%-ის ოდენობით და ხელშეკრულების
შესრულების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვევო გარანტია ხელშეკრულების 2% ოდენობით.

7.6. წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების
მოქმედების ვადას.

7.8. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს წინამდებარე
ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე ნაკლები.

7.9. წინასწარი ანგარიშსწორების გამოუყენებლობის შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება
ეტაპობრივად ან/და მთლიანი ხელშეკრულების ღირებულებით, შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით, და
შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა.

7.10 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მთლიანად დასრულებული (შესრულებული) სამუშაოების
მოცულობის მიხედვით და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა.

7.11. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.3. შემსყიდველი ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.
- წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს დეფექტურ აქტში აუსახავი წუნის აღმოჩენის შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
- გადაუხდელობის შემთხვევაში მოსთხოვოს ანაზღაურება ყველა საჯარიმო სანქციით გამოწვეული ზარალისა სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას.

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
- დაუყოვნებლივ აცნობოს "შემსყიდველს სამუშაოების დამთავრების შესახებ.
- სამუშაოების დასრულებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,07%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე იმ შემთხვევებში, რომლებიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-12 მუხლში.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად ...ა ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ...გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს ...ესრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური ...ოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ...ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე(ეს პერიოდი შეიძლება შეიცვალოს მხარეების შეთანხმების საფუძველზე) მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშორის მოლაპარაკებისას ვერ მიაღწევენ შეთანხმებას,შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესრულებული სამუშაოების ხარისხის ინსპექტირება.

14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.4 შესრულებულ სამუშაოებზე საბოლოო მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმომწერ პირად განისაზღვროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის მოადგილე დავით ჩოთირიძე და ამავე სამმართველოს უფროსი სპეციალისტები დავით ჟღენტი და რატი სვანიძე.

15. სუბკონტრაქტორები

15.1. მიმწოდებელმა უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები.

15.2. მესამე მხარეების მიერ მიმწოდებლის წინააღმდეგ სარჩელების წამოყენების და სასამართლო როცედურების დაწყების შემთხვევაში, შემსყიდველს მათთან დაკავშირებით არ ეკისრება არარნაირი ფინანსური პასუხისმგებლობა.

16. სხვა პირობები

16..1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16.6. სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო–ტექნიკური პერსონალისა მუშა–მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

16.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდა იძულებტ გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ს. კოდი 200037646 მისამართი ქ. თბილისი თამარაშვილის 15 სახელმწიფო ხაზინა ბ. კოდი 220101222 ა/ა 200122900 მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მარტიაშვილი	შ.პ.ს. "უნივერსალი 2010" მისამართი ქ. თბილისი ბახტრიონი ქ. №39. ბ. 94 საიდ. კოდი: №404863402 ტელ: 895 969999 897303330 "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა GE 47 BG 0000000 62 44 26 600 დირექტორი: არჩილ ბაციაშვილი

დანართი № 1

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს მხარეთა შორის 2011 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული № 2295/168 ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს

ობიექტის დასახელება	შესასრულებელი სამუშაოები	სავარაუდო ღირებულება
გუდამაყრის ქ. N2/4-ში (ნევროლოგიის ინსტიტუტი) მდებარე 3 სართულიანი ენობა-ნაგებობის მე-3 სართულზე არსებულ ფართზე	ელექტრო სამონტაჟო სამუშაო	**21256,59**
ჯამი		**21256,59**

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ს. კოდი 200037646
მისამართი ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა
სახელმწიფო ხაზინა
ბ. კოდი 220101222
ა/ა 200122900

მინისტრის პირველი მოადგილე
თამარ მარტიაშვილი

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. "უნივერსალი 2010"
მისამართი ქ. თბილისი ბახტრიონი ქ. №39. ბ. 94
საიდ. კოდი: №404863402
ტელ: 895 969999 897303330
"საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE 47 BG 0000000 62 44 26 600

დირექტორი:
არჩილ ბაციაშვილი

მე-8 საავადმყოფო
ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების
ხარჯთაღრიცხვა

26 აბონენტი

№	დასახელება	ზომის ერთ.	რაოდ.	ერთ. ფასი	თანხა
	I. მასალის დასახელება				
1	ძალოვანი კაბელი 3X95+50	მეტრი	20	11.00	220.00
2	კაბელი 2X10+6	მეტრი	1000	5.70	5,700.00
3	კაბელი 3X2,5	მეტრი	200	1.70	340.00
4	გამომწვარი მავრთული 6მმ (21მ)	კგ	6	3.00	18.00
5	ავტ. გადამრთველი 2-p 40 A	ცალი	26	4.00	104.00
6	ავტ. გადამრთველი კოლოფი 2 იანი	ცალი	26	1.00	26.00
7	ჩამრთველი	ცალი	15	2.00	30.00
8	ელექტრო ვაზნა გარე E 27	ცალი	15	1.00	15.00
9	პლასმასის გამანაწილებელი კოლოფი	ცალი	15	1.00	15.00
10	ნათურა 60 ვ	ცალი	8	0.56	4.47
11	კაბელის შესაკრავი (ჯგუტი 200)	ცალი	500	0.03	15.00
12	კაბელის სამაგრი 6/200	ცალი	300	0.03	9.00
13	სკოპი № 8	ცალი	900	0.07	63.00
14	სკოპი	ცალი	100	0.06	6.00
15	ნათურა ვარვარა ჩვეულებრივი ე 27	ცალი	15	0.50	7.50
16	იზოლენტა EIT 20-1,8	ცალი	4	1.50	6.00
17	დნობადი მც. Пн22-250-00X12350	ცალი	3	9.00	27.00
18	ბუნიკი DL 95	ცალი	12	1.50	18.00
19	ბუნიკი DL 70	ცალი	4	1.00	4.00
20	მოთუთიებული ხოკერი	მეტრი	15	5.00	75.00
	ჯამი				**6,702.97**
	II. სამონტაჟო სამუშაოები				
1	მრიცხველის კარადა 24 ადგილიანი - მონტაჟი	ცალი	1	800.00	800.00
2	მრიცხველის კარადაში 6 მრიცხველის მონტაჟი	ცალი	6	35.00	210.00
3	ძალოვანი კაბელი 3X95+50	მეტრი	20	15.00	300.00
5	კაბელი 2X10+1X6 - მონტაჟი	მეტრი	1000	3.50	3,500.00
6	კაბელი 3X2,5 - მონტაჟი	მეტრი	200	2.80	560.00
7	გამომწვარი მავრთული 6მმ (21მ)	კგ	6	2.00	12.00
8	ავტომატების მონტაჟი	ცალი	26	2.00	52.00

9	პლასმასის გამანაწილებელი კოლოფი	ცალი	15	1.00	15.00
10	ელექტრო ვაზნა გარე E 27	ცალი	15	0.30	4.50
11	ჩამრთველი	ცალი	15	0.30	4.50
12	სატრანსპორტო ხარჯი				300.00
	ჯამი				**5,758.00**
	ზედნადები ხარჯები	**68%**			**3,915.44**
	ჯამი				**16,376.41**
	მოგება	**10%**			**1,637.64**
	ჯამი				**18,014.06**
	დ.დ.გ.	**18%**			**3,242.53**
	ჯამი				**21,256.59**

მიმწოდებელი:

შპს „უნივერსალი 2010"

დირექტორი

/ა. ბაციაშვილი/ _____

შპს "უნივერსალი 2010"
404863402
GEORGIA "UNIVERSAL 2010" LTD